სერბეთის პატრიარქი პორფირე მიმართვით გამოვიდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორთან დაკავშირებით

მიმართვა

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ

სახელმწიფო ტერორთან დაკავშირებით

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (უმე), როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, წარმოადგენს კანონიკურ და კანონიერ მართლმადიდებელ ეკლესიას უკრაინაში და, ამასთანავე, უმსხვილეს რელიგიური ორგანიზაციას ამ ქვეყანაში. ის აღიარებულია მსოფლიოში ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, მას ასევე აღიარებს ყველა უცხოდმადიდებელი ეკლესია და კონფესია, მაშინ როდესაც არაკანონიკურ სქიზმატურ სტრუქტურას, – რომელიც, თუმც უწოდებს თავის თავს მართლმადიდებლურ ეკლესიას უკრაინისას (მეუ), ეკლესიურობის ელემენტარული ატრიბუტებიც კი არ გააჩნია, – აღიარებს მხოლოდ ოთხი მართლმადიდებელი ეკლესია, რომლებიც თავიანთი მრევლის რიცხოვნობით მართლმადიდებლურ სამყაროში მორწმუნეთა საერთო რაოდენობის ძალიან მცირე პროცენტს შეადგენენ.

რა თქმა უნდა, რიცხვითი დისპროპორცია არაკანონიკური სტრუქტურის სასარგებლოდ რომც ყოფილიყო, ანუ არა კანონიკური ეკლესიის სასარგებლოდ, მაშინაც ონტოლოგიურ დონეზე ეს გარემოება ვერაფერს შეცვლიდა, რადგან ეკლესია – ეს არის ეკლესია, ხოლო არალეგალური პარასინაგოგა შეიძლება გახდეს ეკლესია მხოლოდ მონანიებისა და კანონიკური პროცედურის გზით, მაგრამ არანაირად ვინმეს ერთი კალმის მოსმით.

უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია საერთოდ არ არის ერთ-ერთი „მეომარი მხარე", არამედ ღვთის ცოცხალი და მოქმედი ეკლესიაა, რომელიც სარწმუნოებრივ ერთობასა და ლიტურგიკულ ზიარებაში იმყოფება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან. ომებს – როგორც სამართლიანს, ისე უსამართლოებს – აწარმოებენ სახელმწიფოები და არა ეკლესიები. მოეპყრა ეკლესიას, როგორც მტერს – ეს თავისთავად სისაძაგლეა, რადგან მასში გაერთიანებულნი არიან ტრაგიკული დაპირისპირების ორივე მხარის მორწმუნენი.

ეკლესია ყოველთვის მშვიდობის მხარესაა. ის მუდმივად ლოცულობს მშვიდობისთვის და შეძლებისაებრ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მეგობრობამ და სიყვარულმა შეცვალოს ადამიანებს შორის მტრობა და სიძულვილი. ეკლესია არ ყოფს ადამიანებს „თავისიანებსა“ და „უცხოებზე“, „თანამოქალაქეებსა“ და „უცხოელებზე“. ღმერთის სახელით, რომელიც არის სიყვარული, ეკლესია ისწრაფვის სიყვარულითა და სამწყემსო ზრუნვით მოიცვას სულის გადასარჩენად და საცხოვნებლად ყველა, ვისაც სჭირდება ძმური სიყვარული და დახმარება.

ასეთი პოზიციისა და ქცევის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია – მისი პირველი იერარქი, კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრე, მისი ეპისკოპატი, სამღვდელოება, სამონაზვნო დასი და მორწმუნე ერი. ამიტომ, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია ღრმა შეშფოთებით, მწუხარებითა და თანამგრძნობი ძმური სიყვარულით უმზერს უკრაინაში *წმინდანთა მოთმინებას* (გამოცხ. 14:12; შდრ. 1:9), ჩაგვრას, ძალადობასა და დევნას, რასაც უკრაინის ახლანდელი მთავრობა იქმს კანონიკური ეკლესიის წინააღმდეგ და, მაშასადამე, საკუთარი მოქალაქეების უმრავლესობის წინააღმდეგ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საუბარია ქვეყანაში უმსხვილესი რელიგიური თემის შესახებ.

დევნამ კულმინაციას მიაღწია ბუკვალურად ბოლო დღეებში ეკლესიების ძალით მიტაცებით ფსევდოეკლესიური სქიზმატური სტრუქტურის სასარგებლოდ, რომელიც სარგებლობს ერთგვარი „სახელმწიფო ეკლესიის“ და არაფორმალური ინკვიზიციის სტატუსით.

ასევე გამოცხადდა ტერორის მოახლოებული მწვერვალი, რომელიც ჩაფიქრებულია ეკლესიის დევნის ზუსტად საბჭოთა სცენარის მიხედვით – კიევ-პეჩერის ლავრიდან ორას ორმოცდაათი ბერის, ასევე ასზე მეტი მასწავლებლისა და თეოლოგიის სტუდენტის განდევნა, – ლავრიდან, რომელიც არის წმიდა რუსის სულიერი წყარო და უძველესი ცენტრი, აღმოსავლეთ სლავური ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის ნათლობის ემბაზი თანამედროვე უკრაინაში, რუსეთსა და ბელარუსში.

კიევ-პეჩერის ლავრა თავისი სიწმინდეებით წარმოადგენს არა მხოლოდ მართლმადიდებელი უკრაინის და, უფრო ფართოდ, „რუსული სამყაროს" სიმბოლოსა და ცენტრს (როგორც არ უნდა განმარტავდნენ ამ ტერმინს), არამედ ასევე დაუშრეტელ სულიერ წყაროს მთელი მართლმადიდებლობისთვის. უფრო მეტიც, ლავრის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყველასთვის თვალსაჩინო ელემენტია არა მხოლოდ უკრაინული და ზოგადრუსული, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისაც.

ამ ფაქტების ფონზე, უკრაინის ამჟამინდელი სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მიტროპოლიტ ონოფრეს, მონასტრის საძმოსა და სასულიერო აკადემიის ლავრიდან განდევნის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა ეკლესიის წინააღმდეგ საშინელი სახელმწიფო ტერორის სინონიმი. ასევე მისი ძირითადი უფლებების უხეში დარღვევა, როგორც რელიგიური თავისუფლებების, ისე მთლიანობაში სინდისის თავისუფლების გათელვა.

უკრაინის ხელისუფლების საქციელი მოწმობს, რომ მისი რეალური და, ალბათ, საბოლოო მიზანი არის ისტორიული მეხსიერების და უკრაინაში თავდაპირველი მართლმადიდებლობის ყველა კვალის განადგურება, რათა შეცვალოს მისი კოდი და ისტორიული იდენტობა, რომელიც ეკლესიამ მოთმინებითა და ტანჯვით შექმნა და საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა – დაწყებული წმინდა მთავარ ვლადიმერიდან დღემდე.

ვგრძნობთ და ვიცით, რომ უკრაინაში ერთადერთი მართლმადიდებელი ეკლესია კიევის მიტროპოლიტ ონოფრეს მეთაურობით, სიმამაცითა და სიმდაბლით ატარებს თავის ჯვარს და იმედით არის შემდგარი ქრისტესა და საკუთარი გოლგოთის გზაზე. დარწმუნებულები ვართ, რომ ჯვარცმული და აღმდგარი უფალი – ღრმა რწმენის წყალობით, მიტევებითა და ყველას მიმართ სიყვარულით, მათ შორის, ვინც მისი მტრები გახდნენ საკუთარი არჩევანით, – მისცემს თავის ეკლესიას ძალას, გაუძლოს ყველა სატანჯველს, რაც მისი ასატანია და რისი ატანაც მას შეუძლია.

ამავე დროს ღაღადით ვიმაღლებთ ხმას საშინელი უსამართლობისა და სახელმწიფო ტერორის წინააღმდეგ უკრაინის ეკლესიაზე, რომელიც „ზეცას შეჰღაღადებს". ვიმედოვნებთ, რომ ეკლესიები და რელიგიური თემები, ინსტიტუციები და ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან გულგრილნი მშვიდობის, სამართლიანობისა და მსოფლიოში გარკვეული წესრიგის მიმართ, დაგმობენ უკრაინაში რელიგიური უფლებებისა და თავისუფლებების უხეშ დარღვევას.

მხურვალედ ვლოცულობ უფლის მიმართ უკრაინაში ძმათამკვლელი ომის დასრულებისთვის და მის

მიწაზე კურთხეული მშვიდობის სწრაფად აღდგენისთვის; ჩვენ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით ველოდებით ჯვრის ტრიუმფს და ქრისტეს აღდგომას სიბნელის ძალებზე, ბოროტებასა და სიკვდილზე. ჯვარსა შენსა თაყვანს ვცემთ, ქრისტე ღმერთო, და წმინდასა აღდგომასა შენსა ვადიდებთ.

+ სერბეთის პატრიარქი პორფირე,

მღვდელთმთავართა წმიდა სინოდის თავმჯდომარე

წყარო: **Саопштење за јавност поводом државног терора над Украјинском Православном Црквом – Српска Православна Црква (spc.rs)**

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90185/